განკარგულება:**გ-63. 632335915**
თარიღი:**25/12/2023**

შ.პ.ს. „სამტრედიის მაცნეს“-ს 2024 წლის საგამომცემლო-საწარმოო პროგრამისა და მისი
განხორციელების ხარჯის დამტკიცების შესახებ

სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულომ, საქართველოს ორგანული კანონი ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი'' -ს, მე-16-ემუხლის, მე-3 პუნქტის, და თავი IV, 24-ე მუხლის, მე-2 პუნქტის შესაბამისად, განიხილა შ.პ.ს. „სამტრედიის მაცნე''-ს 2024 წლის საგამომცემლო-საწარმოო პროგრამისა და მისი განხორციელების ხარჯების, მათ შორის სახელფასო ფონდის დამტკიცების საკითხი და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

1. დამტკიცდეს შ.პ.ს. „სამტრედიის მაცნე“-ს 2024 წლის საგამომცემლო-საწარმოო პროგრამა (დანართი N1).
2. დამტკიცდეს შ.პ.ს. „სამტრედიის მაცნე“-ს 2024 წლის შემოსავლების გეგმა სუბსიდიის ჩათვლით (დანართი N2).
3. დამტკიცდეს შ.პ.ს. „სამტრედიის მაცნე“-ს 2024 წლის საგამომცემლო-საწარმოო პროგრამის განხორციელების ხარჯები (დანართი N3).
4. დამტკიცდეს შ.პ.ს. „სამტრედიის მაცნეს“ 2024 წლის საშტატო განრიგი და სახელფასო ფონდი (დანართი N4).

დანართი N1

შ.პ.ს. ,,სამტრედიის მაცნე''

პროგრამა

პროგრამა: შ.პ.ს. „სამტრედიის მაცნეს“ საგამომცემლო-საწარმოო პროგრამა

ქვეპროგრამა: შ.პ.ს. ,,სამტრედიის მაცნე'(**პროგრამული კოდი:** 05 03)

პროგრამის აღწერა:

შ.პ.ს. „სამტრედიის მაცნე“ ერთადერთი გაზეთია მუნიციპალიტეტში, რომელიც მაქსიმალურად აშუქებს მოსახელობის ყოფა-ცხოვრებას, ეკონომიკურ თუ სოციალურ პრობლემებს, ასევე, მუნიციპალიტეტში მიმდინარე პროექტებსა და პროგრამებს. წინა პლანზე გამოაქვს მუნიციპალიტეტში მიმდინარე ბიზნეს-საქმიანობასთან დაკავშირებული თემები.

პროგრამის მიზანი:

შ.პ.ს „სამტრედიის მაცნეს“ პროგრამის მიზანია სტაბილურად გამოცემის უზრუნველყოფა და მოსახლეობაზე დროულად მიწოდება, მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და მერიის, აგრეთვე მუნიციპალური და ცენტრალური მნიშვნელობის დადგენილებების, განკარგულებების და სხვა ინფორმაციის მიწოდება მთელი წლის განმავლობაში.

შპს „სამტრედიის მაცნე“ უზრუნველყოფს პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური, კულტურული და შემოქმედებითი საკითხების გაშუქებას.

შ.პ.ს. „სამტრედიის მაცნე“ ორიენტირებულია გამოხატოს საზოგადოების ინტერესი, გააშუქოს მისთვის საჭირბოროტო საკითხები. იყოს ობიექტური და მკითხველამდე სწორად მიიტანოს არსებული მდგომარეობა.

ასევე ორიენტირებულია იყოს მაღალი პოლიგრაფიული ხარისხის.

შ.პ.ს. „სამტრედიის მაცნე“ ორიენტირებულია იყოს მოგებაზე.

შ.პ.ს. „სამტრედიის მაცნე“ -ს ინტერესშია, შექმნას საკუთარი ვებ-გვერდი, რაც ხელს შეუწყობს მომხმარებლამდე ინფორმაციის სწრაფად მიწოდებას.

ღონისძიება:

· მოსახლეობის ინფორმაციული უზრუნველყოფის ზრდა.

· მკითხველთა რაოდენობის ზრდა.

· მოსახლეობის ჩართულობა მუნიციპალიტეტში მიმდინარე და დაგეგმილ **ღონისძიებებში**.

· მუნიციპალიტეტში მიმდინარე საქმიანობის გამჭვირვალობის ზრდა.

· პროფესიულ დონეზე მოთხოვნადი მასალები.

რესურსი:

ქვეპროგრამის ფარგლებში სუბსიდიით ფინანსდება ხელფასები და სხვა მიმდინარე ხარჯები.

მოსალოდნელი შუალედური შედეგი:

· ინფორმირებული მოსახლეობა და მკითხველთა რაოდენობის ზრდა.

· მასმედიის მედიატორის როლის გაძლიერება ხელისუფლებასა და მოსახლეობას შორის.

· მოსახლეობის ინტერესის ზრდა გაზეთში გამოქვეყნებული პუბლიცისტური, პოლიტიკური, სოციალურ-საყოფაცხოვრებო და ინტელექტუალური თემატიკის შემცველი მასალების მიმართ.

საბოლოო შედეგები:

ინფორმირებული მოსახლეობა.

მასმედიის მედიატორის როლის გაძლიერება ხელისუფლებასა და მოსახლეობას შორის, მოსახლეობის ინტერესის ზრდა გაზეთში გამოქვეყნებული მასალების მიმართ.

მოსახლეობის ჩართულობა მუნიციპალიტეტში მიმდინარე და დაგეგმილ

ღონისძიებებში, მუნიციპალიტეტში მიმდინარე საქმიანობის გამჭვირვალობის ზრდა.

მკითხველთა და ხელმომწერთა რაოდენობის ზრდა.

დანართი N2

შ.პ.ს. „სამტრედიის მაცნეს“ 2024 წლის შემოსავლების გეგმა (სუბსიდიის ჩათვლით)

ათას ლარებში

N	შემოსავლების დასახელება	თანხის ოდენობა
I	**სუბსიდია ადგილობრივი ბიუჯეტიდან**	**108.4**
II	**საკუთარი შემოსავლები**	**4.0**
1	გაზეთის გამოწერიდან	3.1
2	გაზეთის რეალიზაციიდან	0.3
3	სარეკლამო განცხადებიდან	0.3
4	განცხადება ნეკროლოგიდან	0.3
	სულ:	**112.4**

დანართი N3

შ.პ.ს. „სამტრედიის მაცნე“-ს 2024 წლის ხარჯები ათას ლარებში

ორგანიზაციული კოდი	სამტრედიის მ უნიციპალიტეტი	სულ ჯამი სუბსიდია ადგილობრივი ბიუჯეტიდან და საკუთარი შემოსავლებიდან	2024 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის სუბსიდიით გასაწევი ხარჯები	2024 წლის საკუთარი შემოსავლებით გასაწევი ხარჯები
0503	**შ.პ.ს. „სამტრედიის მაცნე“**	**112.4**	**108.4**	**4,00**
	მომუშავეთა რიცხოვნობა	**14**	**14**	
	ხარჯები	**112.4**	**108.4**	**4,00**
	შრომის ანაზღაურება	**90.1**	**87.1**	**3,00**
	საქონელი და მომსახურება	**21.8**	**20.8**	**1,00**
	სოციალური უზრუნველყოფა	**0,50**	**0,50**	**0,00**

დანართი N4

შ.პ.ს. „სამტრედიის მაცნეს“
2024 წლის საშტატო განრიგი და სახელფასო ფონდი

1	თანამდებობა	საშტატო ერთეული	ხელფასი ბიუჯეტიდან თვეში	ხელფასი საკუთარი შემოსაველბიდან	წლიური
1	დირექტორი	1	1 179,00		14 148,00
2	მთავარი	1	787	25	9 744

	რედაქტორი				
3	გამომშვები რედაქტორი	1	704,00	25	8748
4	ტექნიკური მენეჯერი	1	484,00	25	6 108,00
5	პასუხისმგებელი მდივანი	1	484	25	6 108,00
6	ბუღალტერი	1	495	25	6240.00
7	კორექტორი	1	484,00	25	6 108,00
8	დამკაბადონებელი	1	484,00		6 108,00
9	კორესპონდენტი	1	440,00	25	5 580,00
10	კორესპონდენტი	1	440,00	25	5 580,00
11	კორექტორი	1	462,00	25	5 544,00
12	ოპერატორი	1	484,00	25	6 108,00
13	დამტარებელი	1	165,00		1 980,00
14	დამლაგებელი	1	165,00		1 980,00
	სულ თვეში:	**14**	**7257**	**250**	
	სულ წელიწადში:	**14**	**87084**	**3000**	**90084**

5. განკარგულება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.

ნუგზარ ჯამბურია

სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულო-სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია
კვალიფიციური
ელექტრონული
ხელმოწერა/ელექტრონული
შტამპი